**სახელმწიფო შესყიდვების**
**სააგენტოს თავმჯდომარის**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080185577101018

№ 3288

26 / დეკემბერი / 2018 წ.

## შპს „ცეკურის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 17 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „ცეკურის“ (ს/ნ: 209442174) 2018 წლის 17 დეკემბრის №121 მომართვა (რეგისტრაციის №10564), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. 2018 წლის 24 დეკემბერს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2018 წლის 24 დეკემბრის №133 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №10824), რომლითაც მან გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2018 წლის 20 დეკემბრის №4408 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „ცეკური“ (ს/ნ: 209442174) 2018 წლის 27 დეკემბერს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე